

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №3

ქ.თბილისი

16.09.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;
დავით კიკალეიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ალავიძე - შპს „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;
იაგორ კალანდაძე - სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი
ზაქარია შველიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გიორგი ცხვედიანი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ ურუშაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ზეგიაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნინო ჩიხლაძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნინო დურგლიშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნოდარ ხადური - თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სრული პროფესორი
ეკა ლეკაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.

მზია მიქელაძე - თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

გიორგი ღავთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
კონსტანტინე სირბილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები:

კახაბერ ჭელიძე - აკრედიტაციის ექსპერტი;
ციური დურული- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი.
ლელა ქელბაქიანი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი.
დავით გუბელაძე - აკრედიტაციის ექსპერტი.
მარინე მაისურაძე- აკრედიტაციის ექსპერტი.
ირმა ღარიბაშვილი - აკრედიტაციის ექსპერტი.
ზურაბ ლომსაძე - აკრედიტაციის ექსპერტი.
ლევან ჯაყელი - აკრედიტაციის ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18³⁰ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

29. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ნინო დურგლიშვილმა, გაახმოვანა შუამდგომლობა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს დღის წესრიგიდან ამოღებული ყოფილიყო მე-4-მე-6 საკითხების განხილვა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მხარი დაუჭირა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობას.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შეცვლილი სახით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობის გათვალისწინებით.

დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

I. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამების (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სწავლების) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განხორციელდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი, ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სწავლების საგანმანათლებლო პროგრამების ერთად განხილვა. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ვ. ჭელიძე, ი. ფხაკაძე, ნ.ალავიძე, ე.ეკალაძე, შ. ჭუმბურიძე, ლ. გიორგაძე

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სილაბუსების ნაწილში არ არის მითითებული სწავლების სემესტრები, ექსპერტების რეკომენდაციაა, სტუდენტის ინფორმირების გაზრდის მიზნით, განხორციელდეს აღნიშნული ინფორმაციის არა მარტო სასწავლო გეგმაში, არამედ სილაბუსებშიც ასახვა.
- რიგი დისციპლინებისა, ისწავლება რამდენიმე სემესტრის მანძილზე, სხვადასხვა ბლოკში შემავალი დამოუკიდებელი ერთეულების სახით, თუმცა, წარმოდგენილია ერთიანი საგანმანათლებლო მიზნების მქონე სუმაციური სილაბუსის სახით (მაგ: კლინიკური ანატომიის სილაბუსი), ექსპერტის რეკომენდაციით, უმჯობესი იქნებოდა მათი ცალცალკე სილაბუსების სახით წარმოდგენა;

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სუმაციური სილაბუსის სახით კლინიკური ანატომიის წარმოდგენა განპირობებულია დარგის სპეციფიკით, რომელიც აღნიშნული დისციპლინების მჭიდრო

ურთიერთკავშირში შესწავლას მოითხოვს. ამასთან დაწესებულება ეთანხმება და გაიზიარებს აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებს სილაბუსებში სწავლის სემესტრების მითითების თაობაზე. აკრედიტაციის ექსპერტმა, კახაბერ ჭელძემ დაადასტურა, რომ პროგრამის ამ კომპონენტების შორის კავშირი ლოგიკურია და ის იზიარებს საგანმანათლებლო დაწესებულების მიდგომას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულენოვანი სწავლების მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულენოვანი სწავლების მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სწავლების მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სწავლების მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

II. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: კ. ჭელიძე, ი. ფხაკაძე, ნ.ალავიძე, ე.ეკალაძე, შ. ჭუმბურიძე, ლ. გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სილაბუსების უმეტესობაში არ არის მითითებული სწავლების სემესტრები. ექსპერტის რეკომენდაციაა, სტუდენტის ინფორმირების გაზრდის მიზნით, განხორციელდეს აღნიშნული ინფორმაციის არა მარტო სასწავლო გეგმაში, არამედ სილაბუსებში ასახვა.
- რიგი დისციპლინებისა ისწავლება რამდენიმე სემესტრის მანძილზე დამოუკიდებელი ერთეულების სახით, თუმცა წარმოდგენილია ერთიანი საგანმანათლებლო მიზნების მქონე სუმაციური სილაბუსის სახით (მაგ. ქირურგიული სტომატოლოგია);
- სილაბუსების ნაწილში სწავლის შედეგები საჭიროებს უკეთ დაზუსტებას;
- სილაბუსთა მცირე ნაწილში ზოგადადაა წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზანი (მაგ. ორთოპედიული სტომატოლოგიის, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა სილაბუსი).
- სილაბუსთა ნაწილში რეკომენდებულ ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურაა მითითებული;
- სილაბუსები /ბიოქიმიის ზოგადი კურსი და სამედიცინო ბიოქიმია/ წარმოდგენილია სხვადასხვა სემესტრში სხვადასხვა სახელწოდებითა და კრედიტების რაოდენობით, თუმცა მიზანი, შინაარსი, შედეგები, და ლაბორატორიული მეცადინეობები ჰგავს ერთმანეთს.
- სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, თუმცა განხილულ სილაბუსთა შორის რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა

მცირედი შეუსაბამობა, ექსპერტის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სუმაციური სილაბუსის სახით პროგრამის სასწავლო კურსების ნაწილის წარმოდგენა განპირობებულია დარგის სპეციფიკით, რომელიც აღნიშნული დისციპლინების მჭიდრო ურთიერთკავშირში შესწავლას მოითხოვს. ამასთან დაწესებულება ეთანხმება და გაიზიარებს აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებს სილაბუსებში სწავლის სემესტრების მითითების, ასევე სილაბუსების მიზნებისა და სწავლის შედეგების დაზუსტებისა და ტექნიკური შეცდომების აღმოფხვრის თაობაზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

III. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: კ. წელიძე, ი. ფხაკაძე, ნ.ალავიძე, ე.ეკალაძე, შ. ჭუმბურიძე, ლ. გიორგაძე

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- უმჯობესი იქნებოდა სილაბუსებში მითითებული ყოფილიყო სწავლის სემესტრი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს მოცემული რეკომენდაცია.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

IV. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული პროგრამის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: კ. წელიძე, ი. ფხაკაძე, ნ.ალავიძე, ე.ეკალაძე, შ. ჭუმბურიძე, ლ. გიორგაძე

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაცია:

- საგანმანათლებლო პროგრამიდან ნათლად არ იკვეთება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი, პრაქტიკული ნაწილი შეტანილია ცალკეულ კურსებში და მისი შინაარსი უზრუნველყოფს საჭირო უნარ ჩვევების გამომუშავებას, „კბილის ტექნიკოსის“ პროფესიულ სტანდარტშიც (090251) არ არის კონკრეტული მოთხოვნა პრაქტიკის ცალკე არსებობის აუცილებლობაზე, თუმცა ექსპერტის მოსაზრებით, აუცილებელია მისი უკეთ დაკონკრეტება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტის შენიშვნას და გადადგამს ნაბიჯებს პროგრამის სასწავლო კომპონენტების კონკრეტულ სწავლის შედეგის გამომუშავებაზე ორიენტირებისაკენ.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სატექნიკო საქმის IV საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

V. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დ.ჯაფარიძე, დ.აფრასიძე, ლ.ქელბაქიანი, ც.დურული, ზ. ჩხაიძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტი უფრო მიზანმიმართულად ახორციელებდეს დაინტერესებული მხარეების აზრის კვლევას პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ჰქონდეს მჭიდრო კონტაქტი საკუთარ კურსდამთავრებულებთან.
- სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტს აკადემიური პერსონალისათვის მეტი თავისუფლება მიეცა შეფასების სქემების გაწერისას, საჭიროა კრიტერიუმები იყოს უფრო ნათელი და ნაკლებად ტოვებდეს სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას.
- სტუდენტებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასურველია საგამოცდო ცენტრის მუშაობის დახვეწა, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ტექნიკური ხარვეზები და მოხდეს კონკრეტულ საგანში მიღებული შეფასების სტუდენტებისათვის დროულად მიწოდება. ასევე სასურველია პროფილის ფორმირებაში ტუტორების მხრიდან უფრო კომპეტენტური კონსულტაციების მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება და იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

VI. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკაში თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დ.ჯაფარიძე, დ.აფრასიძე, ლ.ქელბაქიანი, ც.დურული, ზ. ჩხაიძე

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანი, მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, უცხოელი ლექტორების მეტად გათვითცნობიერება რეგიონალური და ნაციონალური ეკონომიკური გარემოს შესახებ, რაც ლოკალურ ბაზარზე სტუდენტთა დასაქმების გარანტი იქნება.
- მაღალია პროგრამის დამოკიდებულება დონორულ დაფინანსებაზე, სასურველია მუშაობა ინსტიტუციური ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხზე .

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაიზიარებენ პირველ რეკომენდაციას, ამასთან დაწესებულება უცხოელი ლექტორების პარალელურად გეგმავს პროგრამაში ქართველი აკადემიური პერსონალის ჩართვას. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ინტენსიურ მუშაობას ეწევა პროგრამის დონორ-დაფინანსებლების მოზიდვასთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკაში თსუ ეკონომიკის

საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკაში თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკაში თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

VII სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დ.ჯაფარიძე, დ.აფრასიძე, ლ.ქელბაქიანი, ც.დურული, ზ. ჩხაიძე

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამა ხორციელდება ქართული და გერმანული მხარეების მიერ. როგორც წესი სასწავლო კურსების სილაბუსები დგება ქართველი და გერმანელი პროფესორების ურთიერთშეთანხმებით. თუმცა, არჩევითი მოდულების სწავლება განხორციელდება იენას უნივერსიტეტში. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენა ხდება ქართული მხარისაგან დამოუკიდებლად. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე პროგრამის ქართულს მხარეს არ გააჩნია ზემოაღნიშნული კურსების სილაბუსები. თუმცა მათი მიწოდების უზრუნველყოფა მოხდება სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. ექსპერტის რეკომენდაციაა აღნიშნული სილაბუსების მიწოდება სტუდენტებისათვის არ ფერხდებოდეს.

- ასევე, დაწესებულების ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება დარგობრივი ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში არ მოიპოვება ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის განმარტებით დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, თუ ლიტერატურა, რომელსაც კურსის ხელმძღვანელი სილაბუსებში მიუთითებს ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება, ხელმძღვანელი თავად უზრუნველყოფს აღნიშნული ლიტერატურის მიწოდებას ბიბლიოთეკისათვის, სადაც ხდება ქსეროასლის გადაღება. აქედან გამომდინარე, სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება ლიტერატურის ქსეროასლების გადაღება. გარდა ამისა, ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის და პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ელენე ხარაბაძის განმარტებით სასწავლო წლის დაწყებამდე, სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა შეძენილი იქნება პროგრამის ფარგლებში, სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი თანხით

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული განპირობებულია პროგრამის სპეციფიკით, და ამაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებაზეა დამოკიდებული. ვიზიტის დროს საქართველოში იმყოფებოდნენ იენის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, დასკვნის შესახებ ეცნობათ, და ამჯამად ორივე უნივერსიტეტი მუშაობს ამ რეკომენდაციის შესრულებაზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

VIII სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დ.ჯაფარიძე, დ.აფრასიძე, ლ.ქელბაქიანი, ც.დურული, ზ. ჩხაიძე

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სტუდენტების თხოვნა – პროგრამის მოცულობაში პრაქტიკის კომპონენტის წილის გაზრდის შესახებ.
- დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან არის მჭიდრო კავშირი, თუმცა ეს მექანიზმი ფორმალიზებას საჭიროებს და ამ მიმართულებით დაწყებულია მუშაობა.
- მაგისტრანტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტის ბიბლიოთეკა მუშაობს 6 საათამდე, რამდენადაც, მათ ძირითადად ამ დროს ეწყებათ მეცადინეობები და ფაქტიურად ისინი მხოლოდ დღის საათებში ან შაბათს იყენებენ ბიბლიოთეკას, ეს მაშინ, როცა მათი უმრავლესობა მუშაობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებულ შენიშვნებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

IX. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ზ. რუხაძე, ლ. ჯაყელი, ი. კორძაია, კ. ჩოკორაია

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია გაიმართოს შეფასების სისტემა. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული სტუდენტთა აქტივობისა და პრაქტიკული უნარების გამოვლენის შესაძლებლობა, არ ფასდება პრეზენტაცია, დასწრება, აქტიურობა და ა.შ.
- ზოგად საუნივერსიტეტო პროცედურებიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკაში ლიტერატურის განახლება ფერხდება. საჭიროა უფრო ეფექტური სისტემის შექმნა. გამოსაყოფია ბიუჯეტში მეტი თანხები ბიბლიოთეკაში უახლესი სამართლის ლიტერატურის შეძენაზე, ასევე წიგნების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდაზე.
- უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს პროგრამას ნორმატიული მასალით, დაწესებულებაში არ არსებობს წვდომა ელექტრონულ საკანონმდებლო ბაზებთან, რაც მისცემდა სტუდენტებს მეტ შესაძლებლობას საკანონმდებლო სიახლეების მიღების, გაცნობისა და ინტერპრეტაციის.
- სასურველია ადგილობრივი დასაქმების ბაზრის გათვალისწინებით პროგრამაში შესაბამისი კონცენტრაციის გაზრდა, რათა გაიზარდოს ბაზარზე ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში დასაქმებას. (მათ შორის: საქართველოს პარლამენტი, კონტროლის პალატა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარეგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და ა.შ).
- არსებული პროგრამით მუნიციპალური სამართალი არის არჩევითი კურსი, გასათვალისწინებელია დარგობრივი სტანდარტის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების ცოდნა, რაც გულისხმობს მის სავალდებულო საგნად სწავლებას.

- სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევების დასამუშავებელი კურსები, როგორც არის იურიდიული დოკუმენტების წერა, იურიდიული კვლევა, საადვოკატო ეთიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია ადმინისტრაციის წვდომა ნორმატიული აქტების ბაზებთან, მოხდება აღნიშნული მონაცემთა ბაზების სტუდენტებისათვის განკუთვნილ კომპიუტერულ ცენტრებში გადატანა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაინტერესება აღნიშნული პროგრამის სტუდენტებით არის მაღალი, სხვა მიმართულებით უნივერსიტეტში მუშაობს სახელმწიფო მართვის პროგრამები ამ კუთხით სათანადო ცოდნის მისაცემად. მისაღებია რეკომენდაცია ცალკეულ საგნებში კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფის კუთხით, რაც აისახება პროგრამაში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

X სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დ. გუბელაძე, ე.ელიზბარაშვილი, ზ. ლომსაძე, ი.ღარიბაშვილი, მ.მაისურაძე, ლ.მარგიშვილი

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამა უზრუნველყოფილი იყოს უფრო მეტი ახალი ქართული და უცხოენოვანი აგრონომიული სპეციალობის ლიტერატურით.
- არჩევითი საგნების კურსების საგანთა ჩამონათვალში შეტანილი სასწავლო კურსი „ჰიდროტექნიკური მელიორაცია“ საშუალებას იძლევა სტუდენტმა შეისწავლოს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ნიადაგური საფარის სპეციფიკა (მძიმე მექანიკური შედგენილობა და სხვა). საკითხით დაინტერესებულ სტუდენტებს ეძლევათ საშუალება აირჩიონ ეს საგანი, მაგრამ სასურველი იქნებოდა აღნიშნული საგნის შესასწავლად სტუდენტს ჰქონდეს ზოგადო განათლება საინჟინრო კუთხითაც, აღნიშნული საგანი არჩევითია და ის არ შეუშლის სტუდენტს კვალიფიკაციის მინიჭებაში. აღნიშნულ საგანს აირჩევს ტექნიკური საბაზისო განათლების სტუდენტი, რომელსაც დამოკიდებული მუშაობის შედეგად გამოუმუშავდება დარგობრივი დამატებითი კომპეტენციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს რეკომენდაციებს და ასევე, იზიარებს სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ექსპერტის მიერ გაკეთებულ აღნიშვნას, რომ დამსაქმებელთა მოთხოვნა დასავლეთი საქართველოს რეგინალური სფეციფიკის გათვალისწინების კუთხით არ არის მიზანშეწონილი აისახოს საბაკალავრო პროგრამაში, რომელიც ფართო პროფილის ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთანსსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის აგრონომიის საბაკალავრო მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

XI სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაღო - საპარკო მეურნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დ. გუბელაძე, ე.ელიზბარაშვილი, ზ. ლომსაძე, ი.ღარიბაშვილი, მ.მაისურაძე, ლ.მარგიშვილი

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო კურსში- „ხატვა, ფერწერა და გრაფიკა“ საკონტაქტო საათები შეიცვალოს და გახდეს 45 სთ პრაქტიკული მეცადინეობა (ნაცვლად 15 ლექცია და 30 პრაქტიკული), ვინაიდან, სასწავლო კურსი- „ლანდშაფტის ხელოვნება“ იძლევა საშუალებას, სალექციო საათებში, საკმარისი დონით მიეწოდოს სტუდენტს შესაბამისი ცოდნა-ინფორმაცია;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსის-„ქიმიის სასოფლო-სამეურნეო ანალიზით“ სათაური შეიცვალოს სათაურით „აგროანალიზური ქიმია“;
- სასურველია სასწავლო კურსებში გათვალისწინებული (გამლიერებული) იქნას დარგის/სასწავლო კურსის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების შესწავლა/გამოყენება;
- სასურველია ლაბორატორიული ბაზა (შემღებისდაგვარად) პერმანენტულად განახლდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს რეკომენდაციებს, ამასთან, დაწესებულებას გააჩნია სანერგე მეურნეობის აქამდე აუთვისებელი ბაზა, თვითონ უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაც შესაბამისად გაფორმებული იქნება. მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და ლაბორატორიული რუსერსების განახლება შესაძლებელია, თუმცა აღნიშნული პროცესის ამ ეტაპზე განხორციელება შეფერხებულია სასწავლო კორპუსის მახლობლად საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობის გამო, ვინაიდან დაწესებულება ელოდება სხვა კორპუსში გადასვლას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბალო - საპარკო მეურნეობის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბალო - საპარკო მეურნეობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბალო - საპარკო მეურნეობის საბაკალავრო მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

XII სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დ. გუბელაძე, ე.ელიზბარაშვილი, ზ. ლომსაძე, ი.ღარიბაშვილი, მ.მაისურაძე, ლ.მარგიშვილი

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო კურსებში გაძლიერებულ იქნას დარგის/სასწავლო კურსის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების შესწავლა/გამოყენება;
- სასურველია სასწავლო კურსის „მენეჯერული საგნების ციკლი“ დასახელება შეიცვალოს;
- სასურველია ლაბორატორიული ბაზა (შექმებისდაგვარად) პერმანენტულად განახლდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

